

## ნარჩენების შემცირება და ხელახალი გამოყენება

ნარჩენების შემცირების ყველაზე ეფექტური გზა, პირველ რიგში, არის მისი წარმოქმნის შემცირება. ახალი პროდუქტის შექმნა მოითხოვს დიდ ენერჯიასა და ნედლეულს. თავდაპირველად ხდება ნედლეულის მოპოვება, ამის შემდეგ იწარმოება პროდუქტი და ტრანსპორტირდება გაყიდვის ადგილებში. შესაბამისად, ნარჩენის წარმოქმნის შემცირება და ხელახალი გამოყენება არის ყველაზე ეფექტური გზა ბუნებრივი რესურსების შესანარჩუნებლად, გარემოს დაცვისთვის და ფულადი რესურსების დასაზოგად.

## ნარჩენების წარმოქმნის შემცირებისა და ხელახალი გამოყენების უპირატესობები

- ამცირებს დაბინძურებას, რისი ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორიცაა ნაკლები ნედლეულის მოპოვების საჭიროება
- ზოგავს ენერჯიას
- ამცირებს სათბური გაზების ემისიას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებაში
- ხელს უწყობს გარემოს მდგრადობის შენარჩუნებას მომავალი თაობებისთვის
- ზოგავს ფულს
- ამცირებს გადასამუშავებელი, ნაგავსაყრელზე და ინსინერატორში განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას
- იძლევა საშუალებას, პროდუქტი მაქსიმალურად იქნას გამოყენებული

## იდეები ნარჩენების შემცირებისა და ხელახალი გამოყენებისთვის

- შეიძინეთ მეორეული მოხმარების პროდუქცია, როგორცაა ავტონაწილები თუ სამშენებლო მასალები. ხშირ შემთხვევაში, მეორეული პროდუქტი ისეთივე ხარისხიანია როგორც ახალი
- მოძებნეთ პროდუქტი ნაკლები შეფუთვით, ვინაიდან თუ მწარმოებელი აწარმოებს პროდუქტს ნაკლები შეფუთვით, ის მოხმარს ნაკლებ ნედლეულს, შესაბამისად, წარმოქმნის ნაკლებ ნარჩენს და ამცირებს დანახარჯებს.
- ერთჯერადის ნაცვლად შეიძინე მრავალჯერადი პროდუქტი, მაგ.: სამსახურში ატარე საკუთარი მეტალის დანა-ჩანგალი, ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენო ერთჯერადი
- მოუარე და შეაკეთე: მაგ.: ტანსაცმელი, საბურავები, ტექნიკა, რათა არ გადაყაროთ და შეცვლოთ ხშირად
- ითხოვე, იქირავე ან გაუზიარე სხვას ისეთი პროდუქტი, რომელსაც იშვიათად იყენებ

## დონაცია

ის, რაც ერთი ადამიანისთვის ნაგავია, მეორისთვის შეიძლება ძვირფასი იყოს. გამოუყენებელი ტანსაცმლის, ტექნიკის, ხელსაწყოების გადაყრის მაგივრად გაყიდვით ან დონაციით, არა მხოლოდ შეამცირებ ნარჩენებს, არამედ დაეხმარები სხვას.

## დონაციის უპირატესობები

- იცავს გამოუყენებელ პროდუქტს გადაგდებისგან
- ეხმარება მათ, ვისაც ის სჭირდება
- საგადასახადო შეღავათების შესაძლებლობა